ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02.37221861**
თარიღი:**05/07/2022**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის" კომისიამ, შეისწავლა და განიხილა ქალაქ ოზურგეთში, წმინდა გიორგის ქუჩის, II ჩიხის მაცხოვრებლების კოლექტიური განცხადება, აღნიშნულ ჩიხში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შესახებ. კომისიის სამუშაო ჯგუფმა ადგილზე გასვლით, შეისწავლა აღნიშნულ განცხადებაში მოცემული წინადადების განხორციელების მიზანშეწონილობა და დაადგინა:

1. ქ. ოზურგეთში, აღნიშნული ტერიტორიის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ჩიხი არის დაახლოებით 250 მ. ცხოვრობს 15-მდე ოჯახი.

2. ჩიხში მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, როგორიცაა: გზის საფარი, სანიაღვრე არხი და ა.შ.. ნალექიან ამინდში ფაქტიურად შეუძლებელია ქვეითად მოსიარულეთა და ავტომობილით გადაადგილება, რადგან არის მკვეთრი აღმართი და ნალექის დროს წვიმის წყალი მოედინება გზაში.

3. კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ქალაქ ოზურგეთში, წმინდა გიორგის ქუჩის, II ჩიხის ტერიტორიაზე აუცილებელია გზის საფარის მოწესრიგება, სანიაღვრე არხის მოწყობა, რაც უზრუნველყოფს პირველ რიგში ადილობრივ მაცხოვრებელთა უსაფრთო გადაადგილებას, განსაკუთრებით ნალექიან ამინდში.

2. ეთხოვოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, შესაბამის სამსახურებს დაავალოს კონკრეტული წინადადების და რეკომენდაციების მომზადება ქალაქ ოზურგეთში, წმინდა გიორგის ქუჩის, II ჩიხის ინფრასტრუქტურის (გზის საფარი, სანიაღვრე არხი) მოწყობის მიზანშეწონილობის შესახებ.

3. მუნიციპალიტეტის მერიამ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ საკრებულოსა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი